

სალოგზირდა ვეროელი

25
035010
საფურცელი
1991
№ 73
(11706)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1921 წელს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კპ.

ქრონიკა, ინფორმაცია




შეიქმნა სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება. დამფუძნებელ ურდობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. მან მოუწოდა საქართველოს მიწაზე მცხოვრებ ყველა სომეხს, არ წამოევიოთ პროვოკაციები, გამოიჩინონ სიბრძნე და კეთილგონიერება, უნდა აღიზარებოდნენ უკუაღმდეგობაში, ვინც ანგარებიათ მიწებით ცდილობს ვითარების დაძაბვას, აღვივებს ეროვნული იმეზის ხანძარს.

სურათში: დამფუძნებელი ურდობის შემდეგ — ზ. გამსახურდიას საქართველოში მცხოვრებ სომეხი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

ამ მოვლენას მიეძღვნა აქ გამართული ზეიმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ მურმან ომანიძემ, თავმჯდომარის მოადგილემ ბაქარ გვიგინიშვილმა, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეებმა და წევრებმა, მეცნიერებმა, სპეციალისტებმა. უნივერსიტეტს ეწვია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

სურათში: სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცემს ხატს; ახალ უნივერსიტეტს — შესაბამისად ახალი წარწერა.



თბილისის № 8 რეინაბეტონის ნაწარმის ქარხნის კოლექტივმა მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში 118 ათას მანეთზე მეტი სამშენებლო მასალა გაგზავნა.

სურათში: მალე მორიგ რეისში გავა მძღოლი რ. უერტაშვილი.



საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი გარდაიქმნა აგარარულ უნივერსიტეტად.



იტალიის პატარა ქალაქი ბუსეტო — ზენიალური კომპოზიტორის ჯუსტინო ვერდის საშობლო, ივლისის პირველ რიცხვებში უმასპინძლებს ტრადიციულ ვერდის ფესტივალს. ამ ავტორიტეტულ ღვთისმშობლის ეროვნული მთავარი მოქმედი პირი იქნება თბილისის ეროვნული ოპერისა და ბალეტის თეატრი. ფესტივალზე აღედგება ზაქარია ფაღვიფაშვილის ოპერა „ახალსალომ და ეთერი“.

სურათში: თბილისის ოპერის თეატრის მომავალი ფესტივალის პროგრამები. საქინფორმის ფოტოები.

დაღუპულ გმირთა მოსაგონებლად

ნახევარი საუკუნე გვაშორებს იმ ავბედით დღეს, როცა დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. 700 ათასი ქართველი ვაჟკაცი ჩაება ბრძოლაში და ნახევარზე მეტი სამშობლოში არ დაბრუნებულა. როგორც ყოველთვის, ქართველებმა ამ ომშიც უდიდესი გმირობა და თავდადება გამოიჩინეს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე; ებრძოდნენ მტერს. დრო ყველაფრის მკურნალიაო, იტყვიან. მაგრამ, რამდენი წელიწადიც არ უნდა გავიდეს, გულის კუნთულში მუდამ ვიგრძნობთ ტკივილს იმთ გამო, ვინც ვერ მოესწრო კერის სითბოს, დედის თბილ ხელს, შვილებთან სიხარულს. მოუშუშებელ ტრილობად დაგვრჩა იმ პირტიტველი ბიჭების სხელები, რომელთაც სამშობლოსაგან შორს დალიეს სული, ვერ დაიმარხნენ თავიანთ მამულში, წინაპართ საფლავებს შორის. გასურდა ძაძები, დედებმა რომ ჩაიცვას, გაყვითლდა სამკუთხა ბარათები და ფრონტული სურათები, გაწყდა იმედის ძაფი, მაგრამ... მინც ელოდებოდა იმ ომში წასულ შვილს, მეუღლე — შვილების მამას, დედა — საფიცარი ძმას... უღმობელია წუთისაფელი, სადაურსა საღ წიყვანს...

ქართველი ური წმინდად ინახავს თავის ღირსეული შვილების სლოვანს. პატივს მიაგებს მათ.

22 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის საკათედრო ტაძარში პანაშვიდი გადაუხადა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველებს, აღადგინა ლოცვა მათი სახელების საღიღებლად, ჩვენი მამულის საკეთილდღეოდ, ჩვენი ერის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

...თბილისელებმა სახელეები აუნთეს დაღუპულ მეომრებს, რომელთა სახელები სამარადისოდ იცოცხლებს და თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც სიმბოლო ქართველთა ვაჟკაცური სულისა და გმირობისა.

საქინფორმის.

სომხური ფონდი — საქართველოს

საქართველოზე თავსდამტყდარმა ახალმა უბედურებამ სომხეთის მშრომელებისა და მათი საზღვარგარეთელი თანამემამულეების ფართო გამოხმაურება გამოიწვია. სომხეთის საქველმოქმედო ფონდმა ერევნის გავლით თვითმფრინავი გამოგზავნა დაზარალებულთა დასახმარებლად. მან ჩამოიტანა ასიათას დოლარზე მეტი თანხის ღირებულების მედიკამენტები, პირველი საჭიროების საგნები. ამ ფონდის ღირებულებით არუთინ სასუნანამა, რომელიც ჩამოჰყვა ტვირთს, გამოთქვა იმედი, რომ ჰუმანური აქტი ხელს შეუწყობს ორი რესპუბლიკის თანამშრომლობის განვითარებას.

არმენიანს-საქინფორმის.

გაუკლებს თუ არა „ივესტია“ შეტევას, რომელმაც „ივესტია“ და „ტსნ“ აღაგზა?

ოპერაცია, რომლის შედეგადაც ცენტრალური ტელევიზია კრავინაეონსული გახდა, აშააად „ივესტიაში“ სორციალდააა

ჩვენი გაზეთის 20 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოსადმი, რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ახათიანი. მიმართვაში ნათქვამი იყო იმ აშკარად მტრულ დამოკიდებულებაზე, რომელსაც ამ ბოლო ხანებში საქართველოში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენებიდან იქნეს საკავშირო პრესა ხაერთოდ და კერძოდ — სსრკ უზენაესი საბჭოს ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „ივესტია“. 18 ივნისს თავის ფურცლებზე გამოქვეყნებული უაღბლო ყალბი წერილით — „საქართველო, 1991 წლის ზაფხული“, „ივესტიაში“ შეფარცხუო მთელი საქართველო და მისი კანონიერი

პრეზიდენტი. ამის გამო, როგორც უკვე იცით, გამოცემლობა „სამშობლოს“ მუშებმა უარი თქვეს „ივესტიას“ დაბეჭდვაზე. ვინ მართავს „ივესტიას“, ვინ აჭეზებს მას ასეთი ქმედებისაკენ? — სწორედ ამ კითხვებს უპასუხებს ლენინგრადის უზრუნველყოფის კავშირის გაზეთი „ჩას პიკ“ (№ 24) გამოქვეყნებული ინტერვიუ ყოფილ ივესტიელთან, პიტუვის თავისუფლებისა და უზრუნველყოფის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, სსრკ უზრუნველყოფის კავშირის მდივანთან ბბველ ბუბინტოვთან, რომელიც თვლის, რომ ადგილი აქვს ერთ-ერთი ავტორიტეტული და პოპულარული გამოცემის, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების კიდევ ერთი არხის მიტაცების ცდებს.

— ჩვენ ამ შეტევას ველოდით, — ამბობს გუტეობიტოვი, — უბრალოდ, მისი დასაწყისი: დროის საქმე იყო. „ივესტია“ თანამიმდევრულად ახორციელებდა 1985 წლის აპრილის რეგულაციად წარდებულ ვარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიის კურსს. და რა ჩვენი ბრალია, თუ ჩვენ ბევრად უფრო

(დასასრული 25-ე გვ.)



გაშეშებული არა „იზვესტია“ შეტევას, როგორც „გზაში“ და „ტსნ“ აღმასმელი

ოპერაცია, რომლის შედეგადაც ცენტრალური ტელევიზია კრახინგორსკული გახდა, ამახად „იზვესტიაში“ სორციალდება

(დასასრული)

ერთგულნი აღმოგნდით ამ გზისა, ვინემ გარდაქმნის ზოგიერთი ინიციატივა.

როდის და როგორ დაიწყო კონფლიქტი?

გასულ წელს ივანე ლავრენკოს სსრკ უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ჩვენ ჩაეთვალათ, რომ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის ესოდენ მაღალ პოსტზე არჩევა, სხვა-სთან ერთად, გაზეთის პოზიციის მოწინავესა და აღიარებასაც ნიშნავდა. „იზვესტიის“ კოლექტივმა თავის შემკვიდრებობის გაგრძელების ნება მისცა და მთავარი რედაქტორად აირჩია მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე ივანე გოლუმბოვისკი. არჩევა სიმბოლური ხასიათისა იყო, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობდა არც კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ და არც სარედაქციო წესდება (სხვათა შორის, წესდება დღემდე არ არსებობს, რადგან სსრკ უზენაესი საბჭო უკვე ნახევარი წელია, არ ამტკიცებს მას).

მაშ ასე, რედაქციამ გოლუმბოვისკი წამოაყენა. რა რეაქცია მოჰყვა ამას ზემოთ?

პოლიტიკურის გარკვეულ ნაწილს თავისი შეხედულება ჰქონდა. იქიდან წამოსული წინადადებადანი იყო ასეთი: „იზვესტიის“ საკესთან გაზეთ „სოვეტსკაია როსია“ მთავარი რედაქტორი ვალენტინ ჩიკინი დადგესო. მსჯელობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური სექტორის მაშინდელი გამგის ალექსანდრ კაპტის კანდიდატურაზეც. მხარეთა პოზიციები იმდენად პო-

ლარული აღმოჩნდა, რომ სამი თვე მთავარი რედაქტორის გარეშე ვიმუშავებთ, შემდეგ კი გამოიძენა კომპრომისი: მთავარი რედაქტორი გახდა ნიკოლაი ეფიმივი, რომელიც ადრე „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე იყო, იმ დროს კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური სექტორში მუშაობდა, სადაც ბევრი კარგი თვისება დაცურდა და გაზეთში მოსვლის შემდეგ მის სერიოზულ მუხრუჭედაც იქცა. დაიწყო კონფლიქტები, რომელთა დროსაც ახალი მთავარი რედაქტორი მუდამ ჯიუტად და ბევრჯერ არაკომპეტენტურად იქცეოდა. მოკლედ, გაზეთის გამომცემმა მძიმე, უინტერესო საქმედ იქცა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აფეთქების დრო მოახლოვდა...

დაიბ, და ეს აფეთქება კიდევ მოხდა, როცა გოლუმბოვისკიმ, როგორც „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ თანადამფუძნებელმა, ხელი მოაწერა ლიტვის მოვლენებთან დაკავშირებულ ცნობილ წერილს. ეფიმივიმ სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში გაავრცელა განცხადება, რომელშიც გოლუმბოვისკის თანამდებობიდან გათავისუფლების სასურველად საკუთარ კორესპონდენტად გაგზავნას ითხოვდა. გაზეთის კოლექტივმა პროტესტი გამოაცხადა. გვქონდა შეხვედრები ლუკიანოვთან. ანატოლი ივანეს მემ განაცხადა, რომ მას აწყობს გაზეთის პოზიცია და პრეზიდიუმში კონფლიქტში გაერკვევა. პრეზიდიუმზე ეფიმივი გამოვიდა განცხადებით, რომ თითქოს „იზვესტიაში“ ლამის პარტიისა და პრეზიდენტის

საწინააღმდეგო შეთქმულება მხადდება, რომელსაც სათავეში გოლუმბოვისკი უდგასო. გამოსვლის დროს ეფიმივი ცუდად გახდა და საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც ინფარქტი დაუდგინეს. რედაქციამ მის დაბრუნებას (მანამდე გაზეთს გოლუმბოვისკი ხელმძღვანელობდა) ახალი აფეთქება მოჰყვა. ცხადი გახდა, რომ მთავარი რედაქტორი ვერ იმუშავებდა კოლექტივში, სადაც ყველა შეთქმულად, საკუთარი თავი კი ერთგვარად მტრულ გარემოცვაში მყოფ შტირლიცად გამოჰყავდა.

აფეთქებას ისიც აძლევდა სტიმულს, რომ დაიბნა ხმები, თითქოს „იზვესტიის“ დამატების — „ნედელის“ მთავარი რედაქტორად ვლადიმირ სევრუკს ნიშნავდნენ. სევრუკი ორი ათეული წელი მუშაობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურ განყოფილებაში, და იმდენად მონდომებით აღრზობდა საბჭოთა ყურნალისტისკას, რომ მისი სახელი საერთოდ პრესის თავისუფლების შემზღვევად მტკსაზღოვო კი გახდა. სევრუკს მუშაობის სტილი არც ბოლო ორი წლის მანძილზე, „იზვესტიაში“ შემოგზავნის შემდეგ შეუცვლია.

რედაქციამ ეფიმივს პირდაპირ მოუთხოვეთ ახსნა-განმარტება და რჩეული ხმებით დაკავშირებით. მან უარი თქვა პასუხის გაცემაზე. ივნისის იზვესტიელეებმა წერილი გაუგზავნეს ლუკიანოვს, სადაც მასთან შეხვედრას და მთავარი რედაქტორის საკითხის გადაწყვეტას მოითხოვდნენ. ამას უმაღლეს მოქმედა რეაქცია და მეორე დღით ეფიმივმა „ნედელის“ მთავარი რედაქტორად სევრუკი (?),

ხოლო თავის კიდევ ერთ პირველ მოადგილედ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დმიტრი მამლევი წარმოგვიდგინა. ასე შეიქმნა ნამდვილად უნიკალური სიტუაცია: დღეს „იზვესტიას“ სამი(?) პირველი მოადგილე ჰყავს, მოკლედ, ყველაფერი კეთდება ერთადერთი რეალური პირველი მოადგილის — გოლუმბოვისკის უფლებამოსილების შესაზღვრად.

სევრუკის დანიშნა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონის უზენაეს უზენაეს დარღვევაა. სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არა აქვს „ნედელის“ მთავარი რედაქტორის დანიშნის უფლება. სარეგისტრაციო მოწმობის მიხედვით, „ნედელის“ ერთადერთი დამფუძნებელი „იზვესტიას“ რედაქციადგია.

თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ამ აქციის ინიციატორი ნამდვილად უზენაესი საბჭო იყო?

არსებობს ეფიმივის ხელმოწერილი 7 ივნისის ბრძანებულება № 80, რომელშიც ვითხოვლობთ: „სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ა. ი. ლუკიანოვის განკარგულებით „იზვესტიაში“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე ვ. ნ. სევრუკი დანიშნოს „იზვესტიაში“ დამატების — „ნედელის“ მთავარი რედაქტორად.“

ის, რაც ეფიმივმა და, შესაძლოა, ლუკიანოვმა ჩაიდინეს, კანონის უზენაესი დარღვევაა. იქნებ ეს საქმეში საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის, სსრკ პროკურატურის ჩარევის საბაბიც გახდეს და არ გამოვირიცხავ, რომ ჩვენ მათთვის მიმართვაც მოგვიწყოს.

ნონოშვილების გაზეთებისა?

ჩვენ გამოვიარეთ დემილის ბერილი, როცა მსგავს საგანგებო შემთხვევაზე ხმის ამოღებასაც ვერავინ ბედავდა. ქვეყანა კი საერთოდ ვერაფერს იგებდა. ადრე ხომ ვერ წარმოგვედგინა, რომ ცენტრალური გაზეთები დაბეჭდვდნენ ისეთ წერილებს, როგორც ვთქვით „კომსოლსკაია პრავდას“ სევრუკთან დაკავშირებული პუბლიკაცია იყო?...

რის გაკეთებას აპირებენ იზვესტიელეები, თქვენ კომიტეტი?

მე არ ვარ იმის მომხრე, რომ ჩემმა იზვესტიელემა კოლეგებმა უმაღლეს 50 განცხადება დადონ მაგიდაზე. ეს ბევრისთვის ნამდვილად დიდი საჩუქარი იქნებოდა. იზვესტიელეები თავის პოზიციის გამოთქვამენ საბჭოთა და უცხოეთის ყურნალისტებისათვის დანიშნულ პრესკონფერენციაზე. ვფიქრობთ, საპროტესტო აქციის მოწყობას გაფიცვის ჩათვლით, როცა ორი-სამი ათეული ყურნალისტი, რომლებიც „იზვესტიას“ მართლაც „იზვესტიას“ სახეს აძლევენ, ხელს არ მოაწერენ გამომცემის განცხადებულ საკუთარ მასალებს. ბრძოლა ახლა იწყება. მასში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი კომიტეტიც, ყურნალისტთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობაც, რომელსაც თავისი საქმიანობა ლიტვის მოვლენათა დაკავშირებული მძაფრი განცხადებით დაიწყო. კავშირი არ აპირებს „ვან-კასტანკა“-ს რომ გამოსვლას. სიტუაცია ნამდვილად იცვლება.

საუბარი მიხვდა სარეზი ჩინსოკოვს „ჩახ-პიკ“, № 24.

უნივერ-სიტატი გინვესტი



ნოდარ აბალოშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი. წელს, უნივერსიტეტი მისაღებ გამოცდებზე არის რამდენიმე სთახლე: მოიხსნა მისაღებ გამოცდებზე ყოველგვარი შეზღუდვა. თუ გასულ წლებში აბიტურიენტებს მთელ რიგ სპეციალობაზე მოეთხოვებოდა ხანგრძლივი მუშაობის სტაჟი თუ პროფილი, წელს მათ მუშაობას საერთოდ აღარ ვთხოვთ (არც საღამოსა და არც

დაუსწრებელ განყოფილებაზე). ასე რომ, ნებისმიერ სპეციალობაზე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შეიტანოს საბუთები. მოიხსნა ყოველგვარი შეზღუდვა, მაგალითად: უგამოცდოდ ჩარიცხვა, ერთი და ორი გამოცდით ჩარიცხვა, ჩარიცხვა ექსპერიმენტის წესით, უკონკურსოდ და ა. შ. აბიტურიენტები ჩარიცხებიან იმ ქულებში მიხედვით, რომლებსაც ისინი დააგროვებენ გამოცდების დროს.

უკონკურსოდ ჩარიცხებიან მხოლოდ სამი კატეგორიის აბიტურიენტები: სამხედროდან დემობილიზებულნი, რომლებიც სარგებლობენ მთავრობის მიერ დადგენილი შეზღუდვებით, ობლები, რომლებიც სახელმწიფოს კმაყოფიან იზრდებიან; ვმობელთა მზრუნველობას მოკლებულნი, რომელთაც დანიშნული ჰყავთ შეურვე, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები. ისინი უკონკურსოდ ჩარიცხებიან მანამ, სანამ მათ სახელმწიფო სოციალურად არ დაიცავს.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეფასების სისტემაში. ჩვენთვის ნაცნობია შეფასების 5-ქულიანი სისტემა. წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ არ არის საჭირო იცოდნის უფრო ზუსტი დიდფრენციისათვის, უკეთესიდან საუკეთესოს გამოვლენებისათვის, სწორედ ამიტომ შემოვიღეთ შეფასების 10-ბალიანი სისტემა.

მნიშვნელოვანი სიახლეებია გამოცდების ჩატარების მეთოდოლოგიაშიც: ამ ფაქტორებზე, სადაც ქართული ენა და ლიტერატურა ითვლება მასროფილებად, გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდება ახალი წესით. აი, ეს გახლავთ ის ძირითადი სიახლეები, რაც წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისაღებ გამოცდებზე ელით ჩვენს აბიტურიენტებს.



ვესტაბით ვეკარჩიოთ ღირსეულნი

გიორგ შორაღანი — საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი. ინსტიტუტი, სადაც შემოქმედებითი ნიჭის ძიება ხდება, მულამ ესწრაფვის სიახლეს. ამიტომ ჩვენ ყოველ წელს დიდი მულგარებით ველოდებით მისაღებ გამოცდებს. ვინ მოჭა? რა ნაკადით შეიგება ქართული კულტურა? რა ახალი საშუალებები გამოვყენოთ, რომ უკეთ გამოვლინდეს ნიჭიერები? როგორ მივადწიოთ შერჩევის ფეხაზე უკეთეს ფორმებს?

წელს, ინსტიტუტის არსებობის მანძილზე, პირველად არ ვატარებთ საერთო კონკურსს დრამისა და კინოს სპეციალობაზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ უკვე ოჯრძობა ერთგვარი სიჭარბე სპეციალისტების მომზადებაში. ორი წლის წინათ ზემოდან გადაწყვიტილების საფუძველზე უმაღლეს სასწავლებლებში ყველა და-

დებთანმნიანი აბიტურიენტი ჩარიცხა. ამ ფაქტმა თეატრალური ინსტიტუტსაც დააჩნია თავისი უარყოფითი დადი. წელს, ჩვენ სხვების მიერ დაშვებული შეუცდომები უნდა გამოვასწოროთ.

სიახლეები საკმაოდ გვაქვს. სამსახიობო ფაკულტეტზე მივიღებთ ერთ ჯგუფს ზესტაფონისა და სენაკის თეატრებისათვის, ჩავტარებთ ორ ტურს და ამ ტურების მიხედვით შევარჩევთ ახალგაზრდებს. პირველად მივიღებთ აბიტურიენტებს დრამატურგიის ხელოვნების სპეციალობაზე. ვფიქრობთ, რომ ეს ძალზე სანტიერესო სპეციალობაა. შევარჩევთ მწერლობის ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდებს, რომლებიც ჩვენთან მიიღებენ აკადემიურ განათლებას. იქნება კომპლექსური სწავლება, რეჟისორობთან ერთად ეს ახალგაზრდები გაივლიან ლაბორატორიულ სამუშაოებს.

თეატრმცოდნეობისა და მხატვრული კინოს სპეციალობაზე მოვამზადებთ კადრებს ჩვენით-ინფლუენისათვის. საამისო გამოცდილება ინსტიტუტს აქვს. ჩვილილო კავკასიის ხალხები, რომლებიც ჩვენსავით და ჩვენს გვერდით იბრძვიან თავისუფლებისათვის, ჩვენგანაც მოითხოვენ მხარდაჭერას და დახმარებას.

წელს მივიღებთ აბიტურიენტებს კინომცოდნეობის სპეციალობებზე. ვეცდებით შევარჩიოთ ღირსეული ახალგაზრდები. გვაქვს მიღება დაუსწრებელ სწავლებაზეც. კერძოდ, კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტზე, მაგრამ, ვფიქრობთ, მომავალში დაუსწრებელი სწავლების ფორმაზე უარი ვთქვათ ან მოვიყენებთ კვალფიკაციის ამაღლების, მეორე პროფესიის მიღების სხვა ფორმები.

გამედულად უნდა ვეძებოთ ახალი მეთოდები, ახალი გზები სპეციალისტების მომზადებისა. ამას მოითხოვს თვეთ ცხოვრება, მაგრამ არ უნდა დავეშვათ დილექტანტიზმი, ზერეულ მიმხმადველობა, ხშირად უცხოური სახელწოდებების გადმოტანით რომ მთავრდება ხოლმე. ვფიქრობთ, ჯერ საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ ჩვენი ერის ბუნება, გავერკვეთ ჩვენს შესაძლებლობებში და ისე დავხერგოთ ახალი სტრუქტურები.

საქართველოს სახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის ვიზიტის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას

დღეს, როდესაც მთელ საბჭოთა იმპერიაში მიმდინარეობს „ბალკანიზაციის“ პროცესები, კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის მსხრევეა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა აუცილებელს ხდის ქართული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და მის რეალიზაციას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. გამოძინარე აქედან დღის წესრიგში დგება ქართული პოლიტიკური მეცნიერების განვითარება, რომელშიც უნდა შეისწავლოს საქართველოს საზინაო და საგარეო პოლიტიკური პროცესები. თანამედროვე პოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბება შეუძლებელია ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიის, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლის გარეშე. ასევე შეუძლებელია, ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების შესწავლა წარმოვიდგინოთ მსოფლიო პოლიტიკური აზრის განვითარების შესწავლის გარეშე. ამდენად, აუცილებელი ხდება პოლიტოლოგ-სპეციალისტთა მომზადება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტთან არსებობს პოლიტოლოგიის სპეციალიზაცია, მაგრამ, პოლიტოლოგთა საფუძვლიანი მომზადების მიზნით, აუცილებელია შესაბამისი ფაკულტეტის შექმნა, სადაც კონცენტრირებული იქნება რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო ძალების პოტენციალი. საქართველოში პოლიტიკური მეცნიერების განვითარებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებთან საქმიანი კონტაქტები. მოგხსენებთ, ზემოთხსენებული პრობლემების გადაწყვეტა დაკავშირებულია ტექნიკური და მატერიალური ხასიათის სიმწიფებთან. მათი გადაწყვეტა კი ხელეწიფება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს უზენაეს ხელისუფლებას.

საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაცია მოგმართავთ თხოვნით, რათა თქვენი შემწეობით განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი საქართველოში პოლიტიკური მეცნიერების განვითარებისათვის.

გაგუგუნი, გუნება, გეგეობა



გებლემა



„ჩვენი ეზო“ — წამახალისებელი პრემია. იური იართოცი (ვლადიმერ კივიცი).



„პატარა ბოშები“ — წამახალისებელი პრემია. მარინა კოვალენკო (მარინა კივიცი).



უსიტყვოდ — წამახალისებელი პრემია. ვლადიმერ ზაპოროტჩენკო (კივიცი).

სამხმ ისე წაგვივიდა, რომ დღეს, საქართველოში, გადსარჩენი და საშველი ბევრი მთავრდება. ახლობან რაჟა, ზემო იმერეთი და სამხაზლო დაგვეზარა. საწუნარს საწუნარი მიემატა, მაგრამ უგულისყოფილი ვერც რეზისტვის დავრჩებით. შეგახსენებთ, რომ რეზისტვის რაიონის 42 სოფელთან ერთადერთი ქართული სოფელია. იგი ორიოდე წლის წინათ მთელი სინფორმაციო სამსახურის ყურადღებამ ცენტრში აღმოჩნდა. რადიო, ტელევიზია, პრესა... არავინ დაჰკლებია. ყურნაოსტებმა ამ სოფლის პრობლემების გაშუქებისთვის პრემიებიც დაიმსახურეს, მათ შორის მეც, ჩვენი გზების ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული წერილისათვის: „როცა „საბანხური“ სჯობს გამარჯობას“, მაგრამ ახლი, 2 წლის გასვლის შემდეგ ენახოთ, ჩვენი ვარჯა წააღვა თუ არა სოფელს, თანაც ამ ხნის განმავლობაში რეზისტვისგან არავითარ წერილი მივიღეთ რედაქციაში, სადაც კვლავ დახმარების-გვთხოვენ ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად.

რაიონული ცენტრიდან სოფელამდე მისასვლელი 30 კილომეტრამდე გზა კვლავ გადათხრილ-ჩანგრეულია. გზაში რეზისტვის მომავალი არც ერთი მანქანა არ შეგვხვებოდა, ფეხით მომავალი რეზისტვის კი რამდენიც გინდათ. — რაშია საქმე? რეზისტვის ხომ ახალი ავტობუსი გამოვიყვანოთ რაიონული ცენტრში ჩამოსასვლელად? — ვეკითხები გზაზე მომავალი. — მერე და რად გინდათ, ის ავტობუსი ავირ, მძღოლის ეზოში დგას ერთი კვირია. ბენზინი არაა და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს მოგვიწყვეს ასე სიარული...

არადა, ყოველ მერე-მე-სამე დღეს, ოჯახიდან ერთი კაცი თუ მაინც არ წამოვიდა მეზობელ სოფელ ავრანოში, ულუკმაპურად დარჩებთან. ფქვილი რეზისტვის მალაზის კი მიუღია, მაგრამ თითო კაცზე — რაღაც ორ კილომეტრზე არ გამოიღოს, ახლ პარტიის კიდევ მივიღებთ და მერე გავიხსნილებთა უთუქვამთ. მოკლედ, ულუკმაპურის საზოგადოება, ასე გზაზე არიან გამოკიდულნი რეზისტვის უპირველესად მეურნეობიდან მანქანა გამოვიყვანოთ, ოღონდ ბენზინიანი მანქანა, პურს რომ მაინც მოგვითმან დაბლიდან — ამბობენ რეზისტვის.

გამოზახულდა, თუმცა ამ დროისთვის შეუფერებლად ცივა. აქაურები მზეს დახარბებთან და ეზოებში ფუსფუსებენ. გზად ბოტენიანი ყმაწვილი შემხვდა, ისე, სხვათა შორის მოსიარულე, სად მუშაობ-მეთქი, გვითხე. თითქოს ამას ელოდაო, გაღიზიანებულმა, ნიშნის მოგებით მიმასუხა — სადა არასადაც, თქვენ ქალაქიდან ჩამოხვედით, არა? ვიცი, ადრეც კი იყვენ, დაწერეს ესაო, ისაო, მაგრამ არც არაფერი შეცვლილა...

მართალია, ალბათ, ძნელია ისეთ გარემოში ცხოვრება, სადაც ყველა ახალგაზრდას სხვაგან, სხვა ქალაქში წასვლაზე უპირატესი თვალი, მაგრამ ჩვენ ხომ დასჯილნი ვართ? ჩვენი კუთხის, მიწის სიყვარული. მით უფრო, რომ ორი წლის მანძილზე, ასე თუ ისე, დახმარების ხელი ვაუწოდებთ რეზისტვისთვის — საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს საგარეო ტექნიკისა და მომსახურების სპეციალიზებულმა სამმართველომ (უფროსის მოადგილე ჯემალ ცხადა) რეზისტვის საშუალო სკოლა დიზელის ელექტრო სადგურით დაასაჩუქრა, რის წყალობითაც ორი წელია სკოლის მოსწავლეები აქაურ ცივ ზამთარს არ შეუწყუბები. ასევე ამ სამმართველომ 3200 მანეთის სპორტული ინვენტარი, ტელევიზორი, მუსიკალური ინსტრუმენტები შეუძინა რეზისტვის საშუალო სკოლას. ბოლო-ბოლო გამოქვეყნდა „განათლებლის“ მესვეურთა წყალობით — ვალაწყდა სახელმძღვანელოების პრობლემა, მაგრამ დღემდე შემოუღობავია სკოლის ეზო და ამიტომ რომელ შინაურ ცხოველს არ ნახავთ აქ მოსიარულნი.

ახლა საქართველო უზარმაზარი გამოცდის წინაშე — დგას. ბევრს პრობლემებზე საუბარი ეთავილება კიდევაც, მაგრამ ფაქტებს ვერსად გიქცევი, საქართველოს ხვალისდელი დღე ხომ ჩვენი შვილები და შვილიშვილებია, ხომ სჭირდება.

საქართველოს გონებანათელი, განათლებული თაობები, ხომ სოფლებშიც უნდა იყოს ძლიერი, ღონიერი, ალბათ, არაა პატარა პრობლემა თუ ვიტყვით, რომ დღემდე არც ერთი ახალგაზრდა სპეციალისტი არ გამოჩნდა, რომ რეზისტვის სკოლაში უცხო ენები ესწავლებინა, ქიმიკ-ბიოლოგიის საათებიც გეოგრაფიის სპეციალისტს მიჰყავს, ფიზიკულურასა და სიმღერის გაკვეთილებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ორიოდე წლის წინათ მავანნი და მავანნი აქაურებს შეპირებთან, თვითმტყველების კოლექტივს ჩამოვაყალიბებთ, თბილისიდან მასწავლებლებს მოვიწვევით, მაგრამ...

— ტკბილ სახსოვრად გვრჩება

ვინ გადაარჩენს რეზისტს?

ჩვენს სკოლაში თბილისის 172-ე და 26-ე საშუალო სკოლის მოსწავლეების და მასწავლებლების სტუმრობა. თბილისი შეხვედრა იყო, კონცერტი გავმართეთ, საჩუქრებიც ვაღმოგვცეს — მეუბნება რეზისტვის მოსწავლე. მე კი მახსოვს ამ შეხვედრის გამო ტელევიზიის საბავშვო-გადაცემების მთავარმა რედაქციამ ვრცელი გადაცემა მოამზადა — „გადაძახილი“, სადაც ისიც ითქვა, რომ ეს კონტაქტი შემდგომშიც გაგრძელდებოდა თუმცა ყველაფერი ამ ერთი შეხვედრითა და ტელეგადაცემით ამოიწურა. აქაურებს ხომ საჩუქრებზე მეტად სულფერი თანადგომა, ერთგულება უფრო სჭირდებათ...

რეზისტში ახლა 180 ოჯახია. აქ ძირითადად მიძაქვები, საბაძეები, ღვინიაშვილები, ზუციშვილები, ბიწაძეები, მამულაძეები, ვახტანგიშვილები, ლაზარაშვილები, ბერძენიშვილები და ნიკოლაძეები ცხოვრობენ. იქნებ მკითხველს ახსოვს, ჩვენს წინა-წერილში — საუბარი გვექონდა, რომ აქაური ქართველი ქართველს რომ ხვდებოდა, გამარჯობის ნაცვლად, „საბანხური“ ეუბნებოდა — და ყოველივე ამას მაშინ იმით სხნიდნენ, რომ ირგვლივ არაქართული სოფლების გარემოცვაში ვართ და ქართულსაც გადავიჩვიეთ. ახლა კი მშობლებს თვითონ ახსოვთ იძულებულნი თურმე, რომ მხოლოდ ქართულად ილაპარაკონ. — სამწუხაროდ, მერე, სკოლის დამთავრებისას, როცა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე ფიქრი იწყება, აქაური ახალგაზრდები ბევრი ყოყმანის გარეშე ტოვებენ სოფელს და უკეთესი მომავლის საძებნელად ქალაქებსა თუ სხვა სოფლებს მიემშურებიან. — რა ხანია აქ სამოსახლო არავის გამოუყვია, მიწის-ფონდი არ არისო. აქ სად ვიმუშაოთ, ზამთარი 8 თვე გრძელდება, კარტოფილის იმედოდ ხომ არ დავრჩებით, შიშაც დაიბოლა ამდენი ჩიჩქანა-წვალებით; აქ ცოლადაც არავინ გამოიყვება — იქნებ, სადაც გამართლებაც მოქმედებს ამ საყვედურებს, მაგრამ შემადრწუნებელი იმაზე ფიქრი, რომ, თუ ასე გავგრძელდა, სულ რამდენიმე წელიწადში აქაურობას ნასოფლარი დაეკრძევა: ახლანან რეზისტში თბილისი მიმართეს რესპუბლიკის მთავრობას, რათა სოფლის მიმდებარე ტერიტორიიდან 400 ჰექტარი მიწა, რომელიც მცხეთის რაიონის გლდანის მეურნობას ეკუთვნის, სამოვრებად გადაეცეს სოფელს. დაპირებთან, საკითხი დადებითად გადაწყდებოდა, მაგრამ ჯერ პასუხი არ ჩანს.

ჩვენი პირველი სტუმრობის შემდეგ სოფლებში სამედიცინო ამბულატორია გაუხსნიათ, ამდენად, პირველადი დახმარების აღმოსაჩენად.

ნად დღეს რეზისტს მეზობელ სოფლებში სიარული აღარ სჭირდებათ, მით უფრო, როცა აქ გულისხმიერი მამუცა ექიმები ეზულაბათ.

მამუცა ხეცურიანი ბოლინელია. ერთი წელია რაც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა. როცა ამ რთულ რეგიონში მუშაობა შესთავაზეს, ბევრი არც უფიქრია. რეზისტში ამდენი თანადგომისთვის სიყვარულითა და სითბოთი მიიღეს ახალგაზრდა ექიმი. მეურნეობამაც აქვე უქირავე ბინა.

— პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტები გვაქვს — მეუბნება მამუცა — მართ-

ბლემებზე მხოლოდ საუბარს წარსულშიც დაჩვეულები ვიყავით, მაგრამ ამ პრობლემის გადასაჭრელად ცოტა თუ იფუნებდა თავს. დღეს კი მინდა ვთქვა ერთი — უსათუოდ გვესაჭიროება ავტომანქანა, რომელიც გადაუღებელი შემთხვევაში ავადმყოფს რაიონული ცენტრში წაგვავანინებს. გარდა ამისა, ავტომანქანა ბევრ კონკრეტულ შემთხვევაში ესაჭიროება ისეთი სოფლის ამბულატორიას, როგორც რეზისტ.

სოფლის საკრებულოშიც შევიერთე, თამბაქოზე ახლ საბაძე რაიონში დაგვიხვდა წასული და მდივანს მეველდ ნიკოლაძეს შევხვდი. — ნუ იფიქრებთ ვიღაცის წყალობას ველოდებოდეთ, მაგრამ ჩვენი სოფლის პირობები მეტის საშუალებას არ იძლევა. აქ ზამთარი საქმოდ ხანგრძლივია. ის, ახალგაზრდების ადგილზე დამაგრებაც რთულია, რადგან ყოველდღიური სამუშაო არა აქვთ. ამ გზას მართო აქაურები ვერ გავაკეთებთ, რაიონის დახმარება გვეჭირდება, არადა, რაიონში სრული ინტერტულობა, 6 თვის წინ წალკაში ახალი ხელმძღვანელობა დაინიშნა, მაგრამ არც მათ, ძველი ხელმძღვანელების მსგავსად, რეზისტში ჯერ არ გადაუადგილებიათ. იქნებ, განვლილი დრო სიტუაციების გარკვევასა და რაიონის სტრუქტურის გაცნობას მოანდომეს...

ალბათ, ძნელია, დღეს, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, ვინმეს უბრძანო, სოფელში დარჩი და უკეთესი ხვალისდელი დღის იმედით იცხოვრო, მერე იქნებ იმ რეზისტში ბიჭების მსგავსად, სხვაც შემობრუნდეს და გათხრას, თქვენ დიდი ქალაქიდან ერთი დღით ჩამოხვედით, არა? აბა ნახეთ, აქ რა ძნელია მთელი წელი გაატარო გართობის. გარეშე, ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებს მოკლებულმა კვირამი ერთ-ორჯერ თუ ამოგვიტანენ პურსაც, ზმირად ქიმიური სასუქების მანქანის მართვას ვეზიდებით საკვებ პროდუქტებს. არა გვაქვს ტელეფონი. თუ რამე დაგვჭირდა ავრანლოს. საშუალებით ვუკავშირდებით. ორი საათით აქ ამოსვლით და ცარიელი სიტყვებით, ბედს ვერ ვეწვეით.

ჩამაფიქრა იმ ბიჭის სიტყვებმა — ახალგაზრდა ვარ, მეც კარგი ცხოვრება მინდა, თორემ მშვიდ-მშვიდ ვიყავი აქაუ კი არ ვიბოტებით — ჩამაფიქრა და დაჯერებულნი აქაურებს სხვაგვარი თანადგომა და თანაგრძობა სჭირდება. თანადგომა, რომელმაც კიდევ ერთი ქართული სოფელი უნდა გადაარჩინოს, მაგრამ მაინც ვინ გამოიჩინებს ამ თანაგრძობას, ვინ გადაარჩენს რეზისტს?

ინსტრუქტორი — კორნელი ნენდი
ჩვენს სპეციალურ კორნელს
ჩვენს თბილისში

სოფლის რეზისტში

ჩვენს საჭიროს უფრო



ლია წერილი

გაზეთ „პრისონის“ რედაქტორს ბატონ ლეონ ლეონიძეს

წლებულ 30 აპრილს № 42-18 წერილით გვაცნობთ, რომ სამწყობო სამსახურს მუშათა მოთხოვნით გამოცემლობა „სამშობლოს“ დირექტორი იძულებული იყო უარყოფა თქვენი გაზეთის მასალების წყობაზე. ამასთან, მუშების პროტესტში იყო კატეგორიული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ხაეროდ გაზეთი „ერისონი“ გატანილი ყოფილიყო ჩვენი გამოცემლობიდან.

წერილი. უფრო სწორად, პასუხი, რომელიც თავში წამძვარებული აქვს ახლო წარსულში უფრო-გაზრდილობის სავალდებულო უბადადებული მოწოდება — დივიზის მსგავსი უარობა — „ასოთამწყობნი მთელი სტამბის, შეერთდით!“, რითაც შეგნებულად შეურაცხყოფით ჩვენი პოლიტიკური სტები, ერთ-ერთი საპატიო სპეციალობის მუშები — ასოთამწყობები.

ყველაფერთან ერთად გვინდა გაცნობოთ, რომ კომპიუტერზე თქვენი ანაწყოები იმდენად დაბალი სარისხისაა, რომ ჩვენი მუშები მართლ ამ გაზეთის მონტაჟს ნორმით გათვალისწინებული 20-25 წუთის ნაცვლად, მთელი 6 საათი შოუნდენი ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია და გასაგები უნდა იყოს რას ნიშნავს ეს, როცა სამსახურში ყოველდღიურად 80-40 გაზეთი მზადდება დასაბეჭდად.

ყოველივე შემოთქმული აშკარად მიუთითებს, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაზეთ „ერისონის“ გამოცემის საქმეში ყოველად შეუძლებელია და, აქედან გამომდინარე, ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულებაც ბათილია.

თქვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გრაფიკის მიხედვით ერთი თვის შემდეგ უნდა გამოვიდეს. ამიტომ საქმარისი დრო გაქვთ იმისათვის, რომ სხვა სტამბა მოძებნოთ. არა მგონია, ამის გაკეთებას თვითონაც არ აპირებდეთ. ან რა პირით უნდა შეხვედეთ, როგორ უნდა ითაზნაშრომლოთ იმ ხალხთან, იმ „კოლექტივთან“, რომელსაც თქვენს ხარედაქციო პასკილში „ორმოცდაერთი უსტატო ცენზორი...“ უწოდებთ და კიდევ უამრავი სხვა დამამცირებელი სიტყვებით შეამკეთ. თუ იმას ფიქრობთ, რომ სამწყობო სამსახურს მუშების ლანძღვით საბეჭდი სამსახურს მუშების აამებთ, დიდად შემცდარხართ, ანგარიში აგრევიათ.

პატივისცემით
ვახტანგ ეხპანჯია,
გამომცემლობა „სამშობლოს“
დირექტორი.

პირველი პერსონალური



წერილი „ახალგაზრდა ივერიელს“

ჩვენს გაზეთში რამდენიმე მასალა გამოქვეყნდა ანტისოციალური მოძრაობის შესახებ. რედაქციამ არაერთი წერილი მიიღო, რომლებშიც მკითხველები არ იზარებენ ამ პუბლიკაციებში გამოთქმულ მოსაზრებებს და მხარს არ უჭერენ დაგეგმილ ღონისძიებებს. ამ ტენდენციის წარმომადგენელი და ობიექტურების დაცვის მიზნით საგარეოში შემოკლებით გათავაზობთ მკითხველის წერილებს.

საქართველოში და განსაკუთრებით მის დედაქალაქ თბილისში პოლიტიკური პარტიები ისე მორავლდნენ, რომ აღამიანს თითოეული მათგანის სახელწოდების დამახსოვრებაც კი გაუჭირდება, არამც თუ იდოლოგისა.

დღეს საქართველოში ვითარება ისედაც დაძაბულია და ისინი კიდევ უფრო ამწვავებენ მდგომარეობას. ამა სხვა რა შეფასება უნდა მიეცეს მოწოდებას 28 ივნისს, რუსთაველის მოედანზე, კინოს სახლის წინ და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ, საპროტესტო მიტინგის გამართვის შესახებ, რომლის მიზანია საქართველოში დისლოცირებული საბჭოთა კავშირის შეირაღებული ჯარის ქვედანაყოფების დაუყოვნებლივ გაყვანა.

შესაძლოა, ამიერკავკასიის სამხედრო ჯარების სარღობა თვითონაც გაიყვანდა ჯარის ნაწილებს, არამც თუ მართლ საქართველოდან, არამედ მილიანად ამიერკავკასიიდან, ეს რომ პირადად მათზე იყოს დამოკიდებული. იციოცხლეთ, დამპყრობელთა ჯარის გაყვანა კარგია, მაგრამ ამ მიზნით მიტინგის მოწოდება, ჩემის აზრით, თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი.

ქართველ ხალხს დღეს გათოვება და ურთიერთდამირისპირება კი არ სჭირდება, არამედ ერთ მუშტად შეკრება და ერთიანი ძალის ხმევით პარლამენტური გზით მოქმედება.

ვასო წაკითხილი
ხაჩიერი



კიდევ ერთ ნიჭიერ შემოქმედს გავეცანით ამ დღეებში. საზეიმოდ გაიხსნა ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვრის გიგი ზერგაიანის ნამუშევრების გამოფენა.

გიგი ზერგაიანი პროფესიონალი მხატვარი არ გახლავთ. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია. ალბათ გასაგებია, რაოდენ დიდი გატაცება იქნება, რომ მთელი თავისი ფანტაზია და შესაძლებლობა ამ ნამუშევრებში ჩაუქსოვია. გიგი წელზე მეტია ხატვითაა გატაცებული და აი, შედეგად — პირველი პერსონალური გამოფენა.

გიგის ყოველი ნახატი თავისებურია. მათში თვითნასწავლმა მხატვარმა მთელი თავისი სამყარო ჩააქსოვა. ყველა სურათში რაღაცენაირი სიმშვიდე სუფევს, ამასთან, შინაარსის ცვლილებასთან ერთად, განწყობილებაც იცვლება. ყოველი ნახატი ორიგინალური ხედვის ნაყოფია. გრაფიკული ხატვის თავისებური მანერა, ნახატებს სიმსუბუქეს და პლასტიკურობას სძენს. არც ერთი ზედმეტი დეტალი არ არის მის კომპოზიციებში. დაუძთავრებელი ხაზები გადჭრილ კიდესთან წყვეტენ მოძრაობას და უსასრულობისაკენ ილტვიან.

მწელი დასაყრებელია, რომ ეს ნამუშევრები თვითნასწავლ მხატვარს ეკუთვნის, თუმცა დღეიდან იგი პროფესიონალად უნდა მივიჩნიოთ, ისევე თავისი ნამუშევრების წყალობით და ამას ილბათ მომავალიც დაადასტურებს.

ღმერთი იყოს მისი შემწე მხატვრობაში!

თეა კოპაია,
ვახტანგ ზვირიანი.

კვლავ ახალი, საქართველოში დაძაბულობის გამაძლიერებელი განცხადება გამოაქვეყნა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ბატონმა ირაკლი წერეთელმა (იხ. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 8. 06. 91 წ.).

სამწუხაროდ, ამ განცხადებაში არაფერია ახალი და გონივრული. იგი ქართველ ხალხს ძველებურად პოლიტიკურად, ტაქტიკურად და საზოგადოებრივად მიუღებელ და, ამავ დროს, თავის თავში საშიში შედეგების შემცველი მოქმედებისაკენ მოუწოდებს.

უბედურება ის არის, რომ ამ მოძრაობის მესვეურთა საქართველოს უპარტოზო (უპარლამენტო, უმთავრობო და უპრეზიდენტო) პოლიტიკა. ამიტომ ჩვენ, როგორც პოლიტიკურმა პარტიამ, თუ არ ვიმოქმედებთ, საქმე კუდალ იქნება, ამბობენ.

ბატონო ირაკლი! თქვენი გადაწყვეტილებები, 28 ივნისს საპროტესტო მიტინგი მოაწყობთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბთან, საცხებით ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეული უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) მთავრობის და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მიღებულ იმ კურსს, რომელსაც ვატარებთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბთან მოაწყობთ სექტორული მშრომელებისთვის მეტად საშიში შესაძლო შედეგების მოქმედებას მიტინგი? ეს მიტინგი, თუ აქცია, გინდათ ისე მოაწყობთ, რომ ამის შესახებ არ შეუთანხმობთ მას, ვინც ხალხის წინაშე პასუხს აგებს — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, უზენაეს საბჭოს, მთავრობას.

ბატონო ირაკლი! საბჭოთა არმიის შტაბის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს მოსკოვიდან მართავენ და შეგახსენებთ, რომ მოსკოვთან ანუ ცენტრთან დამოკიდებულების საქმე მიჰყავს არა თქვენს პარტიას, არამედ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერად არჩეულ უზენაეს საბჭოს, მთავრობას და პრეზიდენტს. გვახსოვდება, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში მომსახურე ოფიცრები და ის ჯარისკაცები, რომლებიც სამხედრო საგაღებულო სამსახურს გადიან ამიერკავკასიაში ცხადია, ხალხზე დაგვილი საცენწილების გამოკლებით (რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ყაზახები, უზბეკები და სხვები), ჩვენი ძმები არიან, ჩვენი შვილები არიან, ისინიც ჩვენი სთანა აღამიანები არიან; მათაც იციან ის, რომ, სუვერენიტეტს მართლ საქართველო კი არ ღებულობს, არამედ მათი მშობლიური რესპუბლიკებიც; რომ სტალინის მიერ შექმნილი და შემდეგ ბრუშჩოვისა და ბრეჟნევის მიერ ერებს შორის მოჩვენებითი მშობით „განმტკიცებული“ და ძალადობაზე დაყრდნობილი ხალხთა საყრდენი იშლება.

ერთი სიტყვით, ჩვენ, ქართველი ხალხი და საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხები, ველით თქვენს მიერ 28 ივნისს დაწინაურებული მიტინგის გაუქმების თაობაზე პრესაში თქვენს გამოსვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ დაუპირისპირდებით საქართველოს მშრომელებს და იმას დაამტკიცებთ, რომ ვსურთ, თბილისში მთავრობის მშვიდობიანი მოსახლეობის სსრ კავშირის ჯარებთან შეტაკების პროვოცირება, ამის ნებას კი არასოდეს არ მოგცემთ არც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთავრობა და პრეზიდენტი და არც ხალხი, ხალხი, რომელიც დაიღალა ამდენი ნერვიულობით, ხალხს უკვე ეგება მოთმინების ფიალა, და არ გისურვებთ, რომ ხალხი აღშფოთდეს, ხალხმა იფეთქოს, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

ბატონო ირაკლი! დაე, გონიერება გამოჩვენოს უგუნურობაზე! ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

თეა კოპაია

ვახტანგ ზვირიანი



გორგი ხვედიანი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს, სამომავლოდ მრავალი იმედის მომცემს.
ბრმა შემთხვევამ კიდევ ერთი ღამაში, უზინჯო-სიცოცხლე შეიწირა.
გიორგის უდროოდ დაღუპვამ მძიმე ტივილი დაგვიტოვა მის მეგობრებს. ძნელია შეეგუოთ იმ აზრს, რომ ამ ქვეყნიდან სამუდამოდ წავიდა მეოცნებე ქაბუკი, საოცრად არტიტული პირიყენება,
თანაპალასელაი, მავრობრაი.

გიორგი ხვედიანი

ადრე გაზაფხულზე შემოაღამდა გიორგი ხვედიანი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს, სამომავლოდ მრავალი იმედის მომცემს.
ბრმა შემთხვევამ კიდევ ერთი ღამაში, უზინჯო-სიცოცხლე შეიწირა.
გიორგის უდროოდ დაღუპვამ მძიმე ტივილი დაგვიტოვა მის მეგობრებს. ძნელია შეეგუოთ იმ აზრს, რომ ამ ქვეყნიდან სამუდამოდ წავიდა მეოცნებე ქაბუკი, საოცრად არტიტული პირიყენება,
თანაპალასელაი, მავრობრაი.

დაივიწყეთ ყველაფერი, რაც აქამდე ბირჟების შესახებ გსმენიათ!

სააქციონერო საზოგადოება საქართველოს უნივერსალურ ბირჟას შეუძლია შეცვალოს არა მარტო თქვენი წარმოდგენა ბირჟებზე, არამედ აქციონერთა მუშაობისა და ცხოვრების სტილიც.

ძნელი დასაჯერებელია?
გავეცნოთ რამდენიმე ფაქტს:

ჩვენში არსებული ანალოგიური სტრუქტურებისაგან განსხვავებით, მოიცავს არა მარტო საბირჟო სამსახურებს, არამედ თავისებური საინვესტიციო ბანკიც იქნება. იგი სიამოვნებით დააფინანსებს სხვადასხვა მიმართულებებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში; ახალ, საინტერესო და მომგებიან ტექნოლოგიებს.

სააქციონერო საზოგადოების საწესდებო ფონდი შეადგენს 20 მილიონ მანეთს.

აქციის ღირებულებაა 10 ათასი და 50 ათასი მანეთი.

ჩვენი ანგარიშის ნომერია 000161103 კომერციული ბანკი „დრო“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამმართველო, კოდი 521006.

ჩვენი აქცია პულოვალისათვის მოვახის გარანტიას.

სააქციონერო საზოგადოება საქართველოს უნივერსალური ბირჟის მისამართზე: რუსთაველის გამზირი 42, გამოცემულია „მერანი“, I სართული, ფირმა „არდიქსის“ ოფისი; ფალაშვილის ქ. 85 კაუკასიის მინერალური წყლებულის ინსტიტუტი, III სართული, ოთახი 309.
ტელეფონები: 294-931, 230-837

სარეკლამო სააგენტო „რეზონანსი“

კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებათა, ბირჟების, საბროკერო კანტორების, სახელმწიფო, კერძო და მცირე საწარმოთა, ასოციაციების და კონცერნების ხელმძღვანელთა, მენეჯერთა და კომერსანტთა საყურადღებოდ

თქვენთვის და მხოლოდ თქვენთვის

შეუცვლელი სამაგიდო წიგნი „ტიპიური ხელშეკრულება კრედიტის“ (რუსულ ენაზე) გამოსცა მცირე ტირაჟით სამეცნიერო-საწარმოო საგარეო ეკონომიკურმა ასოციაციამ „რიკომბა“.

წიგნი შეესაბამება თითქმის ყველა სახის სამეურნეო: საბირჟო, საბროკერო, საბაჟო, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების, კერძო პირებთან ურთიერთობის, სამეცნიერო, აუქციონთა, სალიცენზიო, საშუამავლო და სხვა საქმიანობისათვის საჭირო ხელშეკრულებათა ტიპური მოდელები.


ამ კრებულის მფლობელი ხვალისდელ დღეს იმედინად შესცქერის. წიგნი იყიდება კომერციული ფირმა „უნივერსალის“ საფირმო მაღაზიაში კოსტავას ქუჩა №87-ში.

კოოპერატივი „აბიტურიენტი“ — ფირმა Konica IO-Bix-გთავაზობთ ქსეროასლების გადაღებ მანქანებს, ტელეფაქსებს.

იაპონური ფირმა Konica IO-Bix-ის პროდუქტია გამოირჩევა განსაკუთრებული ხარისხით.

კოოპერატივი „აბიტურიენტი“ და ფირმა Konica IO-Bix-ის ერთობლივი სარემონტო სახელმძღვანელო აწარმოებს ზემოთ აღნიშნული აპარატურის საგარანტო რემონტს, სათანადო ნაწილების და სათანადო მასალების რეალიზაციას.

ჩვენი მისამართია: 380079, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 25.



მუშაობის საათები:
16⁰⁰ საათიდან 20⁰⁰ საათამდე ყოველდღე, კვირის გარდა.

„აბიტურიენტი“
გამგეობა.

ფირმა „პუმანიში“

ზ.ფალაშვილის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრი
27-28-29 ივნისი

მხოლოდ სამი დღით ზაფხულის გალა პროგრამა

პ ა ე მ ა ნ ი რ უ ს თ ა ვ ე ლ ზ ე
მონაწილეობენ:

ზინადა კვერცხილაძე, ირაკლი უჩანეიშვილი, ნანი ბრეგვაძე, ელენე ყიფშიძე, ქართლოს კასრაძე, ზინა მახარაძე, გურამ გვეტქორი, ირინე ირემაშვილი, შია კვიციანი, ვიქტორია ციმაკურიძე, ირმა სოხაძე, ზესიკა კლანდაძე, თამარი გვერდუი-თელი, ეკა მამალაძე, ჭუმბერ ჯანდიერი, შია ჯაბუა, მედეა ძიძიგური, თემურ თათარაშვილი, ვა სურამელაშვილი, გენო ნადირაშვილი, ტრიო „თბილისი“, ტრიო „საუნჯე“, სამეგლისო ციკვები, ანსამბლი „თელა“ და სხვ.

ლონისძიების სპონსორია ფირმა „არგო“
დასაწყისი 19⁰⁰ სთ. ბილეთები იყიდება ოპერის თეატრის საღარიბოში.

ვიზების ხათარგმნელად

მიმართეთ ფირმა „პუმანიში“ სერვის ბიუროს. ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ გამგზავრებისათვის საჭირო ანკეტები და ვიზების ქსეროასლები. მისამართი: ლერმონტოვის ქ. №19 (თავისუფლების მოედანთან), ტ. 99-20-76, 10⁰⁰-18⁰⁰ სთ-მდე, ყოველდღე გარდა კვირისა. „არგო-ბლიტი“

ძვირფასო მანდილოსნები!

საქველმოქმედო კომერციული ფირმა „პუმანიში“ აცხადებს მსმენელთა მიღებას კოსმეტის შემსწავლელ კურსებზე ერთ თვიანი სწავლების ვადათ. კურსებს ხელმძღვანელობენ ლენინგრადის სილაშაის ინსტიტუტის დიპლომირებული მაღალკვალიფიციური კოსმეტოლოგები. კურსების გავლის შემდეგ მსმენელები მიიღებენ მოწმობას „კოსმეტოლოგის სპეციალობით“.

მსურველების მიღება იწარმოებს ა/წ 2 ივლისამდე ფირმის წარმომადგენლობაში.
მისამართი: ლერმონტოვის ქუჩა №19. ტელეფონი: 99-20-76.
ყოველდღე 10⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე, გარდა კვირისა.

ვეიდი სახლს

ნაკვეთით 600 კვ.მ.
ფართით
ცხვარიჭამიაში.
ცნობებისათვის
დაარკეთ: 87-06-64.

საქველმოქმედო კომერციული ფირმა „პუმანიში“

მაღალი ანაზღაურებით შრომითი ხელშეკრულებით სამუშაოდ იწვევს უცხო ენების: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ბერძნული ენების პედაგოგებს. ასევე იწვევს: ხელით და მანქანაზე ქსოვის პედაგოგებს, საოჯახო მედიცინის საქმის პედაგოგს, ვოლოგოდსკის კრუუგოვს, მაკრამეს, ფარდაგის, ხალიჩის, ბუფების, დეკორატიული ფარდების კერვის შემსწავლელ პედაგოგებს, კულინარია-კონდიტერის სპეციალისტს.

მისამართი: ლერმონტოვის ქუჩა №19 (თავისუფლების მოედანი).
ტელეფონი: 99-20-76.

საზოგადოებრივი
ქვეყნული
Общественно-политическая
газета

ტელეფონები: მისაღები — 99-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 99-81-66;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ
სამუშაოა, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტო-
რებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
ვერა პალარაჩივილი

საქართველოს ურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი.
მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფტეტური წესით საგაზეთო კორპუსში ნოზარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართი
მ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.

